თბილისელებმა ცუდად ითამაშეს

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 2 ივლისი.

“ნეფთჩი” (ბაქო) _ “დინამო” (თბილისი) _ 1:0 (1:0).

“ნეფთჩი”: კრამარენკო, ყულიევი, ბრუხტი, ბაბაევი, რახმანოვი, ზეინალოვი, სტეკოლნიკოვი, სმოლნიკოვი, ბანიშევსკი, შევჩენკო (ალი-ზადე), გაჯიევი.

“დინამო”: ურუშაძე, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე (ლ. ნოდია), ილიადი, მეტრეველი, გ. ნოდია, გავაშელი.

მსაჯი: ბ. სტრელეცკი (დონეცკი).

დუბლიორები _ 2:0 “ნეფთჩის” სასარგებლოდ.

ეს მატჩი ყოველმხრივ საინტერესო იყო. ჯერ ერთი, “ნევთჩი” და თბილისის “დინამო” თასის მიმდინარე გათამაშების ნახევარფინალური წყვილის წარმომადგენლები არიან და სულ მალე, 25 ივლისს, ისევ უნდა შეხვდნენ ერთმანეთს ფინალში თამაშის უფლების მოსაპოვებლად. ამას გარდა, ბაქოელებმა ზედიზედ წააგეს ბოლო 4 მატჩი და ბუნებრივია, ყველაფერს იღონებდნენ ლიდერთა ჯგუფის ერთ-ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ ბრძოლისას. დაუმატეთ ამას ისიც, რომ მაყურებელი საგანგებო ყურადღებით მოელოდა სსრ კავშირის ნაკრების წევრების გამოსვლას თბილისის “დინამოდან”.

ბაქოელი ფეხბურთელები ძალზე ძნელ ბრძოლას მოელოდნენ. მათი მდგომარეობა გართულდა იმითაც, რომ გუნდის დისპეტჩერმა და მთავარმა ძალამ მარქაროვმა ჯერ კიდევ მოთელვისას იტკინა ფეხი და მონაწილეობა ვერ მიიღო მატჩში, მაგრამ, როგორც თამაშის მსვლელობამ ცხადყო, “ნეფთჩის” გამარჯვების მოპოვება მაინცდამაინც არ გასჭირვებია. მართალია, მან ითამაშა მთელი მონდომებით, მაქსიმალური დატვირთვით და სწორედ ამის ხარჯზე შეძლო თავს მოეხვია მეტოქისთვის თავისი ტაქტიკური გეგმა, მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის “დინამო” შორს, ძალიან შორს იდგა იმ გუნდისგან, რომელსაც ბაქოში მოელოდნენ.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა იდგა ნახევადრაცვის თამაში. ამ ხაზის სამივე წარმომადგენელი ტაქტიკურ სქემიდან იყო ამოვარდნილი. ისინი ზედმეტად, სრულიად უმიზნოდ აყოვნებდნენ ბურთს მინდვრის შუაგულში და თუ დააპირებდნენ გადაცემას, ბურთი ან მოწინააღმდეგეებს უვარდებოდათ ხელთ, ან საერთოდ უაზროდ იკარგებოდა. სუსტად ითამაშეს მცველებმაც, ხოლო თავდასხმაში გ. ნოდიამ ისე გაატარა მინდორზე 90 წუთი, რომ, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია. ოდნავ უკეთესი იყო მეტრეველი.

ჩვენთვის გარკვეულ უხერხულობას წარმოადგენს სტუმართა გუნდის მოთამაშეების ასეთი “დახასიათება”, მაგრამ ნათქვამი, სამწუხაროდ, სინამდვილეს შეესაბამება. შედარებით უკეთ თამაშობდნენ დინამოელები შესვენების შემდეგ, როცა აგებდნენ და ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას. მაგრამ “ნეფთჩის” მცველებმა მათ არ მისცეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება. ამასთან, რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო კრამარენკომ.

გოლი, რომელმაც ბაქოელებს ესოდენ საჭირო გამარჯვება მოუტანა, 22-ე წუთზე გაიტანა შევჩენკომ. იგი კარგად გავიდა თბილისელთა მცველებს შორის და ზუსტად გაარტყა.

პ. მირიევი (ტელეფონით).
“ლელო”, 4 ივლისი, 1970 წ.